გამოყენების ინსტრუქცია
იამის მალამო

წამლის ფორმა: მალამო გარეგანი გამოყენებისათვის, გამოიყენება ვეტერინარიაში
ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ფუნგიციდურ-ბაქტერიციდული პრეპარატი
სამიზნე სახეობა: ცხოველები
შედგენილობა: პრეპარატის 1 გ შეიცავს:
აქტიურ სუბსტანციებს:

თუთიის ოქსიდი	–100 მგ.
გოგირდი	–100 მგ.
სალიცილის მჟავა	–20 მგ.

აღწერა:
ნაცრისფერი ან ნაცრისფერიდან -ყავისფერში გარდამავალი ფერის მალამო, სპეციფიური სუნით, შესაძლოა შეიმჩნეოდეს პრეპარატში შემავალი კომპონენტების ფენებად განშრევება.
ფარმაკოლოგიური თვისებები
კომბინირებული პრეპარატი გარეგანი გამოყენებისათვის.
აქვს გამოკვეთილი ფუნგიციდური, ბაქტერიციდული და ექტოპარაზიტული თვისება, ეს განპირობებულია მასში შემავალი ნივთიერებების სინერგიული მოქმედებით. შემადგენელი ელემენტები უზრუნველყოფენ კანის ზედა შრეში შეღწევადობას და ანადგურებენ აღმძვრელებს, დაავადების კერის სიღრმეში.
პრეპარატი თბილსისხლიანებისთვის მცირედ ტოქსიკურია, არ ფლობს გამაღიზიანებელ და მასენსიბილიზირებელ მოქმედებებს.
ჩვენებები
ცხოველთა კანის სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ:

- ეგზემა, დერმატიტები, ტრიქოფიტია და კანის სხვა დაავადებები.

ასევე ეფექტურია ჩლიქების დაზიანებისას, ნეკრობაქტეროზის შემთხვევაში, ცხვრის ჩლიქის სიდამპლის, სარკოფტოზის (მუნი) დროს.
დოზირება:
გამოყენების წინ მალამოს გულდასმით ურევენ, რადგან დიდხანს შენახვის დროს შეიძლება პრეპარატში შემავალი კომპონენტები ფენებად განლაგდნენ. წასმა ხდება დაზიანებულ უბანზე თხელ ფენად და 2-4 სმ-ს მის ირგვლივ. დაზიანებულ კერას ამუშავებენ დღეში 1-2 ჯერ. თუ 4-5 დღეში ქერცლი არ მოშორდა მკურნალობა გრძელდება 7-10 დღე, შემდეგ შეიმჩნევა დაზიანებული უბნის განთავისუფლება და ბალანის წამოზრდა. 10 დღის შემდეგ აუცილებელია დაზიანებული კანის მიკროსკოპული კონტროლი. აღმძვრელის აღმოჩენის შემთხვევაში მკურნალობას იმეორებენ.

გვერდითი მოვლენები

პრეპარატის გამოყენებისას გვერდითი მოვლენები არ აღენიშნება. შეიძლება აღინიშნოს გადამეტებული მგრძნობელობა პრეპარატის კომპონენტების მიმართ.

უკუჩვენებები

უკუჩვენებები დადგენილი არ არის.

განსაკუთრებული მითითებები

პრეპარატთან მუშაობის დროს დაიცავით პირადი ჰიგიენა და ვეტერინალურ პრეპარატებთან მუშაობის უსაფრთხოების პირობებით გათვალისწინებული წესები.

შენახვის პირობები:

პრეპარატი ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას, არაუმეტეს 25°C ტემპერატურაზე.

გამოშვების ფორმა:

20 გ და 0,5კგ მალამო პოლიეთილენის ფლაკონში.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი

მწარმოებელი:

შპს ,,ბიოტეკსი", საქართველო ქ. თბილისი, იუმაშევის ქ. #8